შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.845)

22-29 სექტემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

2018 წელს კახეთში 145 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდა

2

„პურის ბელლად“ წოდებულ დედოფლისწყაროში პური გაძვირდა

დედოფლისწყაროში მოქმედ თონეებში პურის ფასი 10 თეთრით გაიზარდა. ფასი მოემატა მათ პროდუქციას მაღაზიებშიც.

5

2

„რა? სად? როდის?“ – მირზაანში

ხანძარს მარტოხელა ქალი ემსხვერპლა

5

ელდარში 40 წლის მამაკაცი გველმა დაკბინა

2

5

წარმატებული აბიტურიენტები დააჯილდოვეს

როდის აინთება ქედების ზონის სოფლებში ცისფერი ალი

3

ირაკლი შიოლაშვილი: – ფერმერებს ახალი ტექნიკის შეძენა 1%-იანი სესხით შეეძლებათ

4

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა წარმატების საწინდარია

გაიცანით 100%-იანი გრანტის მქონე დედოფლისწყაროელი პირველკურსელები

4

C M Y K

მირზაანში ,,რა? სად? როდის?“ გაიმართა

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლ-მუზეუმმა ინტელექტუალურ თამაშს ,,რა, სად, როდის“ უმასპინძლა. ,,ბრეინ-რინგის“ კახეთის მეორე ღია ჩემპიონატში თხუთმეტი ქვეყნის ოცდაშვიდი უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობაზე ღირსეულად წარდგნენ დედოფლისწყაროელი ინტელექტუალებიც. გამარჯვება კი წილად რუს, უკრაინელ და გერმანელ მოთამაშეებს ერგოთ.

ჩემპიონატს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი და მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი ესწრებოდნენ.

საქართველოს კლუბის ,,რა, სად, როდის“ პრეზიდენტის, გიორგი მოსიძის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით კახეთის ღია პირველობა მირზაანში წელს უკვე მეორედ ჩატარდა და ის მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველოში მოსახლეობის ფართომასშტაბიანი კვლევა იწყება

საქართველოში ფართომასშტაბიანი მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა იწყება, რომელიც სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება. კვლევას საქართველოში ატარებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

საქსტატის კახეთის სტატისტიკის ბიუროს უფროსის, ლევან ჯანდიერის ინფორმაციით, კვლევის შედეგად შეგროვდება მაღალი ხარისხის და საერთაშორისო დონეზე შედარებული მონაცემები, რომელიც მოიცავს ოჯახების, ბავშვების და ქალების მდგომარეობას ქვეყნის მასშტაბით. კვლევის დაწყებასთან დაკავშირებით დღეს თელავში პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილე თინათინ ბაუმი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კახეთის სტატისტიკის ბიუროს უფროსი ლევან ჯანდიერი, „საქსტატის“ წარმომადგენელი ცოტნე ბალახაშვილი და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლელა სტურუა უძღვებოდნენ.

„კვლევის ფარგლებში კახეთში 72 სააღწერო უბანში გამოიკითხება 1440 შინამეურნეობა. კვლევის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით შემოწმდება ოჯახების, ქალების და ბავშვების მდგომარეობა, ასევე, წყლის ხარისხი და დადგინდება ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა“, — განაცხადა ლევან ჯანდიერმა.

კვლევის ფარგლებში, ასევე, შეგროვდება მონაცემები განათლების, ჯანდაცვის, ბავშვის განვითარებისა და ბავშვზე ზრუნვის, აღზრდის, ადრეული ქორწინების, ენერგიის მოხმარების, გარემოს დაცვის და ინფრასტრუქტურის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, დევნილებისა და ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის შესახებ.

„კვლევა არის მრავალინდიკატორული და მოიცავს სხვადასხვა სფეროს განათლებას, ჯანდაცვას, სოციალურ განვითარებას. შეხვედრის მთავარი მიზანია თელავში საზოგადოებას გავაცნოთ, თუ რა ტიპის კვლევა იგეგმება, რა არის ამ კვლევის მიზანი, როგორ იქნება კახეთის რეგიონი ამ კვლევაში ჩართული“, — აღნიშნა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ლელა სტურუამ.

კვლევის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილეც. თინათინ ბაუმი აღნიშნავს, რომ კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას, დაგეგმოს და შეიმუშაოს მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც გაუმჯობესებს დაუცველი ოჯახებისა და ბავშვების ცხოვრებას.

„მსგავსი კვლევები ტარდება სხვადასხვა ქვეყანაშიც. 1995 წლიდან დღემდე 295 კვლევა ჩატარდა 107 ქვეყანაში. საქართველოში ბოლოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2005 წელს ჩატარდა. ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად, 2-7 წლის დაახლოებით 1500 ბავშვს ქვეყნის მასშტაბით აუღებენ სისხლს ვენიდან. ორგანიზმში ტყვიის შემცველობა საზიანოა, მის მცირე რაოდენობასაც შეუძლია ბავშვის ინტელექტის დაქვეითება და სხვადასხვა დაავადების გამოვლენა. ნიმუშები გაიგზავნება ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაში იტალიაში. მაღალი დონის დადგენის შემთხვევაში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მათ უფასო კონსულტაციას გაუწევს.

წყლის შემოწმება შინამურნეობაში მოიცავს სასმელი წყლის ნიმუშების აღებას ყოველ მეოთხე ოჯახში ნაწლავის ჩხირის არსებობაზე შესამოწმებლად. შედეგი გამოავლენს სასმელი წყლის ხარისხს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მონაცემებს, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, შევადარებთ სხვა ქვეყნების მონაცემებთან, რაც გვაჩვენებს საქართველოს პროგრესს სხვადასხვა ინდიკატორების გათვალისწინებით სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. მონაცემების შეგროვების საველე სამუშაოების პარალელურად“, — აცხადებს თინათინ ბაუმი.

კვლევის მიმდინარეობის პარალელურად, გაეროს ბავშვთა ფონდი იწყებს მასშტაბურ საკომუნიკაციო კამპანიას და საზოგადოების მობილიზაციას, რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება კვლევისა და საველე სამუშაოების დაწყების შესახებ. კვლევის შედეგები 2019 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდება.

კვლევა 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SDG), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), მსოფლიო ბანკისა და იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტის დაფინანსებით.

2018 წელს კახეთში 145 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდა

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს.

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს კახეთში დაფინანსდა 35 მილიონი ლარი ღირებულების 145 პროექტი, მათ შორის გზების რეაბილიტაციაზე 102 პროექტია გათვალისწინებული, წყალმომარაგებაზე 26 და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოსაგვარებლად კი — 17.

“იზრდება და მომავალ წელს კიდევ უფრო მეტად გაიზრდება დატვირთვა რეგიონულ პროექტებთან დაკავშირებით. მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რეგიონებში გაცილებით მეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს კახეთში 145 პროექტი დაფინანსდა”, — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, კახეთის მუნიციპალიტეტების მერები, სამშენებლო, საპროექტო და საზედამხედველო კომპანიის წარმომადგენლები.

“ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა. ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა პროექტის მონაწილეები, მუნიციპალიტეტების მერები და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია მათი აზრები. მათ შესაძლებლობა ექნებათ, ღიად ისაუბრონ ყველა პრობლემასა და დაპრკოლებაზე, რაც მათ მუშაობის პროცესში აქვთ. არის უფრო ამბიციური გეგმები, რომ მთავრობამ უფრო მეტი პროექტი განახორციელოს”, — აღნიშნა ილია ბეგიაშვილმა.

ელდარში 40 წლის მამაკაცი გველმა დაკბინა

დედოფლისწყაროში, სოფელ კასრისწყალში 40 წლის მამაკაცი გიურზამ დაკბინა. ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცი გვიან საღამოს სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც შემთხვევით ქვეწარმავალს ფეხი დაადგა, გველმა კი ის ფეხის არეში დაკბინა. შალვა გაწირიძე ოჯახის წევრებმა დაუყოვნებლივ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მამაკაცს ანტიგიურზინის ვაქცინა დროულად გაუკეთდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მისი დედაქალაქში გადაყვანის აუცილებლობა მაინც დადგა. კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟმა პაციენტი თბილისის რეფერალურ საავადმყოფოში მოათავსა. რამდენიმედღიანი მკურნალობის შემდეგ დაკბენილი მამაკაცი საავადმყოფოდან გაწერეს. ექიმების თქმით, მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ირწმუნება, რომ ანტიგიურზინის ახალი ვაქცინა დედოფლისწყაროში ყოველთვის ოპერატიულად შემოდის და ამ მხრივ შეფერხებები არ არსებობს.

„ორი ვაქცინა ინახება ჩვენთან, როგორც კი გაიხარჯება, ოპერატიულად ვახდენთ შევსებას და დროულად შემოგვაქვს ხოლმე. ამიტომ, ამ კუთხით პრობლემა არ გვაქვს,“ – ამბობს ალადაშვილი.

სოფელში, რომელიც რაიონული ცენტრიდან ათეული კილომეტრით არის დაშორებული, წლებია, სასწრაფო დახმარების ბრიგადის ამოქმედებას ითხოვენ. **ცნობისთვის:** კასრისწყალში არ მოქმედებს არც აფთიაქი, რაც ადგილობრივებს დამატებით პრობლემებს უქმნის.

სოფელი კასრისწყალი ელდარის ზამთრის საძოვრებზეა გაშენებული, რის გამოც ტერიტორია ქვეწარმავლების სიმრავლით გამოირჩევა. კასრისწყალი რამდენიმე ათეული წელია, ოფიციალურად ახმეტის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა, სიახლოვის გამო, სამედიცინო თუ საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში მიდის. მუნიციპალიტეტის ცენტრისგან სოფელი 45 კილომეტრით არის დაშორებული. უგზოობისა და სხვა პრობლემების სიმრავლის გამო სოფელ კასრისწყალში ახლახან საპროტესტო აქცია რამდენჯერმე გაიმართა. ადგილობრივები მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებამ გამონაკლისი დაუშვას და მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიანიჭოს, რადგან მათთვის მაღალმთიანი სტატუსით გათვალისწინებული შეღავათების ამოქმედება პრინციპულად მნიშვნელოვანი იქნება. სოფელში თვლიან, რომ ელდარი მაღალმთიანი სოფლის კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებს და რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებში ვერ ჩაჯდება, თუმცა, სოფელი რომ არ დაიცალოს, აუცილებელია, ხელისუფლებამ გამონაკლისი დაუშვას. აქციების შემდეგ კასრისწყლელებს არავინ გამოხმაურებია.

ილია მარტყოფლიშვილი

როდის აინთება ქედების ზონის სოფლებში ცისფერი ალი

ფერმერებს ახალი ტექნიკის შეძენა 1%-იანი სესხით შეეძლებათ

სრულდება თუ არა ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები კონკრეტულად დედოფლისწყაროში, რა კეთდება ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, თუ სამუშაო ადგილების შესაქმნელად... როდის დასრულდება ქედების ზონის გაზიფიცირების მასშტაბური პროცესი – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გაზეთი „შირაქი“ პარლამენტის წევრს, სიღნაღი დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს ***ესაუბრა:***

– ბატონო ირაკლი, გაზიფიცირების საკითხით მინდა დავიწყოთ...

– „მე ვფიქრობ, რომ ისტორიული პროცესი დავიწყეთ. ერთერთი ჩემი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება სწორედ ეს იყო, ქედებს, სამთაწყაროს, ფიროსმანს და საბათლოს გაზი ექნებოდა. ამას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს რეალობა გახდებოდა და ჩვენ ამის განხორციელებას შევძლებდით. დაუჯერებელი იყო, რადგან, აქ ბუნებრივი აირი არასოდეს არ ყოფილა. მათ შორის არც საბჭოთა კავშირის მმართველობის დროს, როცა ქვეყანას ძალიან დიდი რესურსები ჰქონდა და შეეძლოთ ამ ზონის გაზიფიცირება მომხდარიყო, რატომღაც ვერც მაშინ მოხერხდა აქ ცისფერი ალის შემოყვანა. როცა ამხელა იმპერიამ ეს ვერ შეძლო, ცხადია, ჩვენი მხრიდან იქ დადებული პირობა ადგილობრივებს არარეალურად და მორიგ საარჩევნო დაპირებად მოეჩვენათ. დიახ, ამ სოფლებში წინარაარჩევნო შეხვედრებზე მე მკაფიოდ დავდე პირობა, რომ ჩემი მაჟორიტარობის 4 წლიანი ვადის განმავლობაში აქ გაზი შევიდოდა. ჩემთვის დღეს ძალიან საამაყოა და საკმაოდ წელგამართული ვარ, რომ პროექტი უკვე ხორციელდება. თავდაპირველად ჩვენ შევიძინეთ ჯერ პროექტი, შემდეგ კი გამოცხადდა ტენდერი 12 მილიონ ლარად ღირებულ პროექტზე. საკმაოდ დიდი პროექტია, რომელიც ამ სოფლებში გაზის შეყვანას ითვალისწინებს. ქალაქ დედოფლისწყაროდან დაიფინება ახალი მილი ქედების მიმართულებით და შემდეგ დაიქსელება ამ 6 სოფელში და პლუს კასრისწყალში.

– რა ვადაში უნდა დასრულდეს ქედების ზონის გაზიფიცირება?

– სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, ყველა კომპანია დაინტერესებულია, რომ დროულად მორჩეს სამუშაოებს, რათა ზედმეტი დანახარჯი თავიდან აიცილოს. გვინახავს ისიც, როცა კომპანიებს დასახელებულ ვადებში ვერ დაუმთავრებიათ და დროულად ვერ ჩაუბარებიათ პროექტი, მაგრამ დამეთანხმებით, ისეთი პროექტებიც ყოფილა, როცა დროზე ადრე მომხდარა სამუშაოების დასრულება. ინტენსიურად დავდივარ ქედების ზონაში, მინდა, რომ ხშირად დავათვალიერო და მიმდინარეობას ყურადღება მივაქციო. ამ დღეებშიც ჩავედი და ვნახე. მთავარია, პროცესი დაიწყო, სამუშაოები მიმდინარეობს. ამ კომპანიებს ეჩქარებათ, რომ საქმე დროულად გააკეთონ და მალე მიიღონ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა. ჩვენი ინტერესიც ეს არის, რომ მოსახლეობამ დროულად მიიღოს შედეგი და პროცესი ვადაში არ გაჭიანურდეს. ზემო ქედის გარდა, ყველა ზონაში უკვე გამოვლენილია კომპანია და ვფიქრობ, ზემო ქედშიც მალე გამოვლინდება. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მომუშავე კვალიფიციური და პროფესიონალი კომპანიები არცთუ ისე ბევრია. წინა წლებში რეგიონების გაზიფიცირებისთვის წლიურად მხოლოდ 20 მილიონი იხარჯებოდა, ამჯერად კი გამოყოფილია 40 მილიონი ლარი და ლოგიკურია, რომ როცა საქმე ბევრია, მეტი შემსრულებელი იქნება საჭირო. შესაძლოა, ქართული კომპანიები მზად არ აღმოჩნდნენ ამხელა დატვირთვისთვის, რომ ორმაგი თანხის ათვისება იმავე ვადაში შეძლონ. ჩვენთვის საინტერესოა, რომ აქამდე წლიურად 20 მილიონი იყო გათვალისწინებული მთელს ქვეყანაში, სხვადასხვა რეგიონში ჯამურად, წელს კი მხოლოდ დედოფლისწყაროს შეხვდა 12 მილიონიანი დაფინანსება. ეს ძალიან საამაყოა ჩვენთვის, რადგან ამხელა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში, რომელიც დაუჯერებელ კომფორტს შეუქმნის ამ სოფლების მაცხოვრებლებს და ბევრად გააუმჯობესებს მათ ყოველდღიურ ყოფას. ჩვენი მხრიდან ერთადერთი დასაბუთება, რის გამოც დაფინანსების სოლიდური ნაწილი დედოფლისწყაროს შეახვედრეს, ის იყო, რომ საზღვრისპირა სოფლებია, ეკომიგრანტები ცხოვრობენ და ასეთი სოფლები ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს. ყველაზე მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ამ რაიონში ტყეკაფი არ არსებობს, ადგილობრივები ზამთარში შეშის მომარაგებას ვერ ახდენენ და მათ, მინიმუმ, რამდენიმე მუნიციპალიტეტის გავლა უწევთ შეშის შესაძენად. ეს ღირებულებას რამდენჯერმე ზრდის, ამიტომ ამ სოფლების სათბობი შეშით მომარაგება ყოველთვის პრობლემატურ საკითხად რჩებოდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ეს სოფლები პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო წინა წლებშიც, რადგან ალტერნატიული გათბობის საშუალებები არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და წინა წლებში ამ სოფლებს ყურადღება არ ექცეოდა. კარგია, რომ ახლა ცენტრალური ხელისუფლებისა და პარლამენტის დონეზე მკაფიოდ დაისვა დედოფლისწყაროს ეს პრობლემა, მოინახა გადაჭრის გზები და საქმე რეალურად დაწყებულია.

ქედელები პესიმისტურად უყურებდნენ არა მარტო ამ დაპირებას, არამედ ჩემს საუბარს იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი გზა ჩავიდოდა ქვემო ქედამდე. იცით, რომ

დღეს ეს რეალობაა და ძალიან დიდი გამონვევა იყო ჩვენთვის. 50 წელზე მეტია, ამ ზონაში გზა არ განახლებულა, ძალიან ამორტიზებული გზები და პრაქტიკულად მოშლილი კომუნიკაცია იყო ქედების ზონასა და რაიონულ ცენტრს შორის. დაუყოვნებლივ განახლებას მოითხოვდა, რადგან მანქანები ძალიან ზიანდებოდა და ძალიან დიდი დრო ჭირდებოდა რაიონში ამოსვლას, ან უკან დაბრუნებას. მრავალმილიონიანი პროექტი განვახორციელეთ და ეტაპობრივად დაიგო თანამედროვე სტანდარტების გზა, თავისი სანიაღვრე არხებით და ტროტუარებით, როგორც სოფელში, ასევე შირაქში, სოფლამდე მისასვლელი გზაც განახლდა და დღეს მგზავრობის დროც მნიშვნელოვნად შემცირებულია, აღარც ავტომობილები ზიანდება. ჩვენ არ ვუშინდებით დიდ გამოწვევებს და ჯერ კიდევ წინ გველის დიდი გამარჯვებები და საინტერესო პროექტები. კიდევ ერთხელ ვპირდები ჩემს ამომრჩეველს, რომ გაცილებით უფრო დიდ პროექტებზე ვიმუშავებ უახლოეს პერიოდში, იმისთვის, რომ ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობისთვის კიდევ უფრო საინტერესო გავხადოთ დედოფლისწყაროში ცხოვრება და მშობლიური მიწა-წყალი. მინდა, რომ ეს იყოს დასაწყისი დიდი აღმშენებლობისა, ყველაზე ლამაზი და ყველაზე მაგარი რაიონი უნდა გვქონდეს აუცილებლად...

– ფერმერები ტექნიკას 1%-იანი სესხით შეიძენენ, რას ითვალისწინებს ეს პროგრამა?

– პარლამენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი მუშაობით ფერმერებისთვის წარმოუდგენლად საინტერესო პროგრამა ამოქმედდა. დღემდე ყველა ფერმერი იმაზე მიანიშნებს, რომ ტექნიკის სიმცირეა, ეს თვალშისაცემია ალაობის პერიოდშიც და ვიცით, რომ ბოლო წლებში კომბაინები აზერბაიჯანიდან ვითხოვეთ. მათ შორის მსხვილი ფერმერებიც ტექნიკის არქონაზე მიანიშნებენ, ან ისევ საბჭოთა ტექნიკით ამუშავებენ ნაკვეთს. არადა, ის ფერმერები, რომელთაც დიდი ნაკვეთები აქვთ და შემოსავალიც მეტი აქვთ, წესით ტექნიკას უნდა ფლობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი და თანამედროვე ტექნიკა დღემდე მაინც მიუწვდომელი რჩება მსხვილი ფერმერებისთვისაც. ცხადი იყო, რომ სახელმწიფოს თანადგომის გარეშე ახალი ტექნიკის საკუთრებაში ყოლას ვერც ძლიერი ფენა ვერ ახერხებდა და ჩვენ შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაგვედგა. აქტიურად ვიმუშავეთ სამინისტროსთან და ამიერიდან მიწათმოქმედებს შეუძლიათ მთლიანად ახალი, ან სამ წლამდე ასაკის ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მისაბმელები შეიძინონ სახელმწიფოს დახმარებით, ანუ 1%-იანი კრედიტით. ჩვეულებრივ, ფერმერებს შეუძლიათ მაღაზიაში მივიდნენ, შეარჩიონ მათთვის სასურველი ტექნიკა, შემდეგ მყიდველი მივა ბანკში და განაცხადებს, რომ სურს ისარგებლოს „იაფი კრედიტით“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად. **ᲛᲣᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ ᲛᲐᲡ 12%-ᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲗ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲖᲐᲓᲐᲐ 1% ᲓᲐᲤᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲒᲛᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲛᲐ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲡ. ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ 1%-ᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲢᲐ�პᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ.** ამიტომ, მე ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესო პროგრამაა და ეხება როგორც ტექნიკას, ისე აგრეგატებს და სხვადასხვა სახის მისაბმელებს. თავის მხრივ ეს დასაქმების კიდევ ერთი წყარო იქნება. ბევრი ტექნიკა ნიშნავს ბევრ მომსახურე პერსონალს, ბევრ დასაქმებულ ადამიანს. ამას გარდა, პროგრამა ხელს შეუწყობს საბჭოთა ტექნოლოგიებიდან თანამედროვე სტანდარტებით დამუშავებაზე გადავიდეთ. მარცვლეულის წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნოლოგიები კი ბევრად გაუმჯობესებს მოსავლის ხარისხიანად მოვლას, ისე ხარისხიანად და უდანაკარგოდ მომკას. ეს ყველაფერი გახდება უკეთესი, ხვავიანი მოსავლის მიღების საწინდარი.

– რთველთან დაკავშირებით რა მოლოდინი გქონდათ და როგორ შეაფასებთ პროცესს?

– აბსოლუტურად კომუნიკაბელური რთველია, ძალიან მჭიდრო კონტაქტი არსებობს რთველის შტაბსა და მევენახეებს შორის. დედოფლისწყაროში პროცესი მშვიდად და უპრობლემოდ მიმდინარეობს. ეს უზრუნველყო როგორც შტაბის, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და სოფლის რწმუნებულების ეფექტურმა მუშაობამ. კომპანიები წინასწარ შემოვიდნენ დედოფლისწყაროში, ადგილზე შეაფასეს ვითარება, აიღეს სინჯები და წინასწარ იყო ცნობილი, რომელ ვენახს რომელი კომპანია ჩაიბარებდა და საძებარი და გასარკვევი არაფერი დარჩენილა. მუსკატის ჯიშის ყურძენი უკვე ძალიან პოპულარულია ჩვენს კუთხეში და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ მასზე დიდი მოთხოვნა იქნებოდა. იცით, რომ სტიქიამ კახეთის რეგიონში ბევრი რაიონი დააზარალა, ვენახები არაერთხელ დაისეტყვა, მაგრამ საბედნიეროდ, დედოფლისწყარო სტიქიას გადაურჩა და ეს ძალიან კარგია. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა ქარხნების დაინტერესება დედოფლისწყაროს ვენახებით. ამიტომ ფასებიც ფერმერებისთვის ძალიან საინტერესო და მისაღები იყო.

– საარჩევნო წელს რთველი ხმაურის და ხელოვნური დაძაბულობის მიზეზი ხშირად გამხდარა, მითუფრო წელსაც საპრეზიდენტო არჩევნებს ემთხვევა რთველის პროცესი...

– წელს პირველად სახელმწიფო მთლიანად გამოვიდა სუფსიდირებიდან და აღარ ახდენს ყურძენზე დანამატის გაცემას. იქიდან გამომდინარე, რომ წინა წლებში ამ კუთხით ძალიან სწორი პოლიტიკა გატარდა, რთველთან და ღვინის ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით სწორი ნაბიჯები გადაიდგა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ღვინის ქარხნებში შარშანდელი ღვინის ნაშთები ძალიან ცოტაა დარჩენილი, ეს კი გვაძლევდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ქარხნებს ძალიან მაღალი დაინტერესება ექნებოდათ როგორც თეთრ, ისე შავ ყურძენზე. ამიტომაც ვამბობთ, რომ არცერთი მტევანი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება. სახელმწიფომ არაერთხელ გასცა დაპირება, რომ არცერთ რაიონში არ დარჩება ყურძენი ჩაუბარებელი, მათ შორის არც დასეტყვილი ვენახების მოსავალი. მე, როგორც აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავიდანვე ძალიან იმედიანად ვიყავი განწყობილი და გულწრფელად გითხრათ, რთველის თემაზე ხმაურის მოლოდინი არ მქონია... როგორც სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი, დარწმუნებული ვარ, წელს თითოეული ფერმერი ვენახიდან საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს შეიტანს ოჯახში.

– ანუ, მიიჩნევთ, რომ სახელმწიფო სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის სწორ ნაბიჯებს დგამს?

– ძალიან საინტერესო პროექტია „აწარმოე საქართველოში“, წინა წლებში იყო სუბიექტზე 5000 ლარის დაფინანსება, ამიტომ საჭირო იყო რამდენიმე მოქალაქის გაერთიანება, რომ თანხა 10-15 ათასზე ასულიყო დაფინანსება და ასე ჩართულიყვნენ პროგრამაში. აქამდე თანადაფინანსება 20% იყო, რაც ბენეფიციარს უნდა დაედო. დღეს კი ეს დაფინანსება გაზრდილია, აღარ საჭროებს დამატებით სხვა ადამიანების მოძიებას და პროგრამაში ჩართვას. ერთ ადამიანსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება და საგრანტო მოცულობა 20 000 ლარამდე გაიზარდა. უნდა იაქტიუროს მოსახლეობამ, რაც შეიძლება მეტი პროექტი უნდა დაიწეროს, რომ ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისთვის მეტი წარმოება შეიქმნას, გაჩნდეს უამრავი სხვადასხვა მიმართულების დასაქმების წყარო, რათა ერთად შევქმნათ უკეთესი მომავალი.

– პარლამენტის ტრიბუნიდანაც ღიად ისაუბრეთ, რომ წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობა და, ზოგადად, მოქმედი სისტემა არაეფექტურია, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის რეგიონების წყლით უზრუნველყოფის პროცესის გასაუმჯობესებლად. ამავე პერიოდს დაემთხვა ისიც, რომ დედოფლისწყაროში 30-მდე ადამიანი მოიწამლა. არ დადასტურებულა რითი, თუმცა ფაქტია, ინტოქსიკაციის შემთხვევები იყო...

(გაგრძელება გვ.5)

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

2017-2018 სასწავლო წლის დაწყებას ახალი ენერგიით და სტიმულით შეუდგნენ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში. №1 საჯარო სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებას მომზადებული შეხვდა, როგორც ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, ისე სასკოლო სახელმძღვანელოებით. სკოლის მოსწავლეებს და განსაკუთრებით პირველკლასელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, საკრებულოს დეპუტატმა და სკოლის ყოფილმა პედაგოგმა მიხეილ ბახუტაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ეთერ ზურიკაშვილმა, სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა.

გასული სასწავლო წლის ნაყოფიერების შესახებ ისაუბრა სკოლის დირექტორმა და ერთხელ კიდევ მიულოცა 36 კურსდამთავრებულიდან 33 მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა. ეს შედეგი განსაკუთრებით საამაყო და იმედისმომცემია, როგორც თითოეული მოსწავლისთვის, ასევე ჩვენთვის, მშობლებისთვისაც. ქალბატონმა ეთერმა მადლობა გადაუხადა ჩვენი სკოლის ყოფილ კურსდამთავრებულებს, რომლებიც წლებია გვერდში უდგანან და თვალს ადევნებენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხოლო მიმდინარე წელს ახალი რესურსოთახის მოწყობაში შეტანილი წვლილისთვის დირექტორთან ერთად პედაგოგებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენს და სკოლის ყოფილ მოსწავლეს–ლევან ჯანაშვილს გაწეული ქველმოქმედებისთვის.

ღონისძიებას პირველკლასელებან ერთად მუსიკალურად და მხატვრულად აფორმებდნენ ზედა კლასელებიც. დასასრულს, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თანმხლებ პირებთან და სკოლის დირექტორთან ერთად ორ სადამრიგებლო კლასში პირველკლასელებს საჩუქრად გადასცა სასწავლო ბუკები და ახალი სახელმძღვანელობი.

ახალი სასწავლო წელი 16 პირველკლასელით და საინტერესო გეგმებით დაიწყო ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლამ. ამის თაობაზე გაზეთ „შირაქს“ დირექტორმა უამბო.

„დიდი ენთუზიაზმით დავიწყეთ სასწავლო წელი. სკოლა 200 მოსწავლამდე ითვლის, ჩატარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. გავარემონტეთ პირველკლასელთა ოთახი. ასევე დავამატეთ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რესურსოთახი, რომელიც სათანადოდაა აღჭურვილი ინვენტარით და ყველა საჭირო ნივთით. მოწყობილი აქვს პანდუსი, რათა ადაპტირებული იყოს. ჩვენ ევროკავშირის გრანტის მფლობელები გავხდით, რის შედეგადაც დიდი ხნის ოცნებას ავიხდენთ და წელს ახალი სპორტული მოედანი გვექნება. ამ პროექტის ხორცშესხმაში ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაც დაგვეხმარა თანადაფინანსებით, რითიც ყველა ძალიან გახარებულები ვართ,“ – აღნიშნავს მეორე სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი.

ელზა ხარაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა წარმატების საწინდარია

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო მონაცემებით, 2018 წელს სტუდენტი 27 906 აბიტურიენტი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებზე გასული აბიტურიენტების დაახლოებით 70%-მა ჩააბარა. ეს წელი ამ მხრივ წარმატებული იყო დედოფლისწყაროელებისთვისაც, განსაკუთრებით კი №1 საჯარო სკოლისთვის, სადაც, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, 36 კურსდამთავრებულიდან 33 ბავშვი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში.

ამ წარმატებების მიღწევაში დღეს დიდია სახელმწიფოს როლი, რომელიც უზრუნველჰყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი დახმარება და სპეციალური პირობები. მაგალითად, სმენადაქვეითებულ ბავშვებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ საჭირო საშუალებები, რომლებიც მათ სწავლაში დაეხმარება. სწავლაში სიძნელეების გადაწყვეტის გზაა კარგად მომზადებული მასწავლებლები, რომლებიც შეძლებენ სწავლების სტილის მისადაგებას, ასევე არასასწავლო პერსონალი, მაგალითად, სოციალური მუშაკები ან ფსიქოლოგები. თანაბარი შესაძლებლობები განათლებაში მნიშნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის დაძლევაში. სულ რამოდენიმე დღის წინ პრეზენტირებული ახალი განათლების რეფორმა მიმართულია ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე. ხარისხიანი განათლება გულისხმობს ახალი სფეროების შესწავლას, როგორიც არის კულტურული მრავალფეროვნება, მრავალენოვნება განათლებაში, მშვიდობა და არაძალადობრივი ცხოვრება, მდგრადი განვითარება და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების შესწავლა. თითოეული ჩვენგანი დიდ იმედებს ვამყარებთ ახალ რეფორმაზე, თუმცა, მანამდე ვინც უკვე დგამს პირველ ნაბიჯებს უმაღლეს სასწავლებლებში და გახდნენ უმაღლესი ქულების და 100%-იანი გრანტის მფლობელები ჩვენი რაიონიდან (ასეთი ოთხი სტუდენტი გვყავს), დღეს გთავაზობთ ორ მათგანთან – **მარიამ ბატიაშვილთან და რევაზ ჯანყარაშვილთან ექსკლუზიურ ინტერვიუს,** *რითაც ვაუწყებთ ჩვენს მოსახლეობას, მათ გულშემატკივრებს ამ ახალგაზრდების აზრს, თუ რა იყო მთავარი წინაპირობა მათი ასეთი დიდი გამარჯვებისა.*

მარიამ ბატიაშვილი – დავიბადე 2000 წლის 10 აგვისტოს. პირველი ორი კლასი დავამთავრე თბილისის N 62 სკოლაში, შემდეგ გადავედი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. არბოშიკის საჯარო სკოლაში, სადაც საბოლოოდ დავამთავრე 12 წლიანი კურსი. წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე.

რევაზ ჯანყარაშვილი – დავიბადე თბილისში, გავიზარდე დედოფლისწყაროში, სადაც დავამთავრე პირველი საჯარო სკოლა. ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე 100%-იანი გრანტით.

– რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

მარიამი – არ არსებობს ერთი მიზეზი, რის გამოც ავირჩიე ეს მიმართულება. პირველ რიგში დაინტერესებული ვარ საერთაშორისო პოლიტიკით, ეს ფაკულტეტი კი გამოირჩევა თავისი პრესტიჟულობითა და მაღალი კონკურენციით.

რეზიკო – პროფესიის არჩევაზე ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ მივხვდი, რომ სწორედ ეს სფერო შეესაბამებოდა ჩემს ინტერესებს და შესაძლებლობებს...

– მოკლედ მოგვიყევით თქვენი სამომავლო პერსპექტივების შესახებ...

მარიამი – სამომავლო გეგმები სწორედ ამ მიმართულებას უკავშირდება, კონკრეტული პროფესია კი გამოჩნდება, როდესაც გარკვეული სფეროთი დავინტერესდები სწავლის პროცესში.

რეზიკო – ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს სამართალმცოდნეობის რომელ განხრას გავუყვები, მაგრამ ჩემი მიზანია, წარმატებას მივაღწიო ჩემს პროფესიაში და შევძლო გამოვადგე ჩემს ქვეყანას...

– თქვენი აზრით, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს თანამედროვე ახალგაზრდობა?

მარიამი – დღევანდელი ახალგაზრდობის მთავარი გამოწვევები და მიზნები, ჩემი აზრით, უკავშირდება პროგრესული იდეებით ქვეყნის მომარაგებასა და სრულად შეცვლას, საბჭოთა დროინდელი სისტემის საბოლოოდ ამოძირკვასა და გონივრული ქმედებებით ძველი თაობის დაჩრდილვას, რადგან დრომოჭმული და რეგრესული იდეები, გადმონაშთი საბჭოთა კავშირიდან, ვერ იქნება ნათელი მომავლის გარანტი.

რეზიკო – ჩემი აზრით, დღესდღეობით, თანამედროვე ახალგაზრდობისთვის უმთავრესი გამოწვევა არის დასაქმების პრობლემა. პროფესიულ სასწავლებლებში განათლების დაბალი დონე აიძულებს ახალგაზრდების უმრავლესობას, ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში, რაც ზოგიერთ სფეროში განაპირობებს ძალიან მაღალ კონკურენციას და იმათ, ვისაც საშუალება არ აქვს ისწავლოს საუკეთესო უნივერსიტეტში, უჭირთ დასაქმება.

– რა მიგაჩნიათ ახალგაზრდების წარმატებული მომავლის მთავარ საიდუმლოდ?

მარიამი – ახალგაზრდობის წარმატებული მომავლის მთავარი საიდუმლო ინდივიდუალურობასა და თავისუფლად აზროვნებაშია. როცა ადამიანი არასდროსაა შეზღუდული, გამოთქვას განსხვავებული აზრი და გამოამჟღავნოს სრულიად განსხვავებული უნარ-ჩვევები, ის ყოველთვის შექმნის რაღაც ახალს და განსაკუთრებულს.

რეზიკო – მკაფიოდ დასახული მიზანი, შრომა და ,რა თქმა უნდა, იღბალი.

– ცოდნა-განათლება უალტერნატივოა, ყველა ვთანხმდებით, მაგრამ კიდევ რა გზები შეიძლება გამოინახოს ახალგაზრდებისთვის ცხოვრების წარმატებულად წარმართვის საშუალებად?

მარიამი – ცოდნა-განათლება წარმატების მთავარი ქვაკუთხედია, მაგრამ მხოლოდ ამით შეუძლებელია რამის მიღწევა თუ ადამიანი სოციალურად აქტიური არ არის, თუ არ აქვს დაგროვილი გამოცდილება სხვადასხვა სფეროში და თუ დროს არ უთმობს საკუთარი თავთან მუშაობას. მხოლოდ სწავლით ჭეშმარიტი წარმატების მიღწევა, ალბათ, შეუძლებელია.

– რამ ითამაშა თქვენს წარმატებაში გადამწყვეტი როლი, ნიჭმა, სიბეჯითემ, მონდომებამ თუ ყველაფერმა ერთად?

მარიამი – ჩემს თავზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ გეტყვით, რომ ნიჭისა და შრომისმოყვარეობის დაბალანსებულმა დონემ და მიზანდასახულობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ჩემს ამ ჯერ-ჯერობით მცირე წარმატებაში.

რეზიკო – ჩემს წარმატებაში უმთავრესი როლი ითამაშა, რა თქმა უნდა, შრომამ და, ალბათ, ნიჭმაც. არ ვიტყოდი, რომ მთელ დროს სწავლას ვანდომებდი, ჩემი აზრით, თავისუფალი დროის არსებობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სწავლა.

– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ დღევანდელ საგანმანათლებლო სექტორში და რა ცვლილებებს შეიტანდით მასში?

მარიამი – დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის ყველაზე უარყოფითი მხარე, ალბათ, მაინც იმაშია, რომ ბავშვში თავიდანვე კლავენ ინდივიდუალური განვითარების პერსპექტივას. ხშირად ხდება მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე განხორციელებული ძირითადად ფსიქოლოგიურ-ვერბალური ჩაგვრა. ზოგიერთი მასწავლებელი ისევ საბჭოთა იდეოლოგიით არის დატვირთული, რადგან ახალგაზრდების დაინტერესება ამ სფეროში მინიმალურია. ვისურვებდი, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს საშუალება, გამოხატოს საკუთარი აზრი და იდეა და არ იყოს უკუგდებული, რადგან ეს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებში არ ჯდება.

რეზიკო – დღევანდელ განათლების სისტემაში ბევრი პატარა პრობლემაა, რომლის მოგვარებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, საჭიროა მხოლოდ მონდომება.

– რა როლი აკისრია ოჯახს და მის ხელშეწყობას თქვენთვის?

მარიამი – ჩემს შემთხვევაში ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყოველთვის ვგრძნობ თანადგომასა და წახალისებას მათგან. არასდროს მიგრძვნია მშობლებისგან რაიმე სახის შეზღუდვა ან აკრძალვა, რაც მნიშვნელოვანია ჩემთვის. ოჯახის ხელშეწყობამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს წარმატებებზე.

რეზიკო – ჩემს ოჯახს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში და მათი მხარდაჭერის გარეშე ვერ შევძლებდი იგივე შედეგის მიღწევას.

წარმატებულ სტუდენტებთან მუშაობისას შემოგვიერთდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ ზურიკაშვილი და ყველა კურსდამთავრებულს კიდევ ერთხელ მიულოცა ცხოვრების ახალ, საინტერესო და მნიშვნელოვან საფეხურზე გადასვლა:

– მინდა, დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების 2017-2018 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს დიდი სიყვარულით მივულოცო სტუდენტობა. სასიამოვნოა,რომ ამდენი წარმატებული პირველკურსელი გვყავს.. საჯარო სკოლების ადმინისტრაცია და პედაგოგები ყოველ წელს აუმჯობესებენ სწავლის ხარისხს.. ამისათვის მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს და ყველას ერთად. ეს მიღწევები მათი დიდი შრომისა და უძილო ღამეების შედეგია. პირველკურსელებს ვუსურვებ წარმატებულ სტუდენტობას. იმედია, ასახელებენ მუნიციპალიტეტსა და მშობლიურ სკოლას.

ელზა ხარაშვილი

„პურის ბელელად“ წოდებულ დედოფლისწყაროში

პური გაძვირდა

დედოფლისწყაროში მოქმედ თონეებში პურის ფასი 10 თეთრით გაიზარდა. ფასი მოემატა მათ პროდუქციას მაღაზიებშიც. 50 თეთრიანი პური უკვე რამდენიმე დღეა 0,60 თეთრად იყიდება, ხოლო 0,60-იანი – 0,70 თეთრად. როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფლებიდან აცნობეს, ფასის მატება დაიწყო მუნიციპალიტეტის სოფლებშიც. ადგილობრივი მწარმოებლები ფასის ზრდის ძირითად მიზეზად ფქვილის გაძვირებას ასახელებენ. ისინი სხვა ხარჯების მატებაზეც მიანიშნებენ და აცხადებენ, რომ ფასის მატება გარდაუვალი იყო.

დედოფლისწყაროში ზოგიერთ თონეს ფასი ჯერ არ გაუზრდია, ზოგიერთ ადგილას პური ისევ 0, 50 თეთრად იყიდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევებში წონა შეუმცირდა. ასეთ თონეებშიც ამბობენ, რომ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, პურის გაძვირებას ვერ გაექცევიან.

ფასის მატებით გაკვირვებულია მოსახლეობის ნაწილი. ადგილობრივები ფიქრობენ, რომ „პურის ბელელად“ წოდებულ დედოფლისწყაროში უხვი მოსავლის ფონზე პურის გაძვირებაზე საუბარი უხერხულია.

ინგა წიკლაური: „პურის ფასმა ჩვენს უბანშიც მოიმატა, ხევსურების უბნის მაღაზიებსა და თორნეებში პატარა შოთი 60 თეთრი გახდა, ჩვეულებრივი პური უკვე 0,70 თეთრი ღირს... ძალიან უკმაყოფილო ვართ ხალხი, პური ადამიანის არსებობისთვის ყველაზე აუცილებელი და მოთხოვნადი პროდუქტია, როცა პურიც ძვირდება, საინტერესოა, გაჭირვებულმა ხალხმა თავი როგორ უნდა ირჩინოს?“

ნანა ჩიბუხაშვილი: „ბოლო ხანს შევნიშნე, რომ პური 10 თეთრით გაძვირდა. ძალიან დიდი სირცხვილია, რადგან ჩვენს რაიონში არ არის ისე საქმე, რომ პურის ფასმა მოიმატოს. ბევრს ისე უჭირს, რომ 10 თეთრიც დიდი თანხაა მათთვის, მითუმეტეს, ეს მატება თვის ბოლოსთვის 15 ლარს ასცდება. პენსიონერს კი მხოლოდ პურის ხარჯი 15 ლარით რომ გაეზრდება, ეს ცოტა არ არის. ამ კატეგორიის მოხუცები საქართველოში ძალიან ბევრია, მაგრამ ხალხის გაჭირვებაზე ვინ ფიქრობს“...

ჯონი ლეკაშვილი: „10 დღის მანძილზე ფქვილის ტომარამ მოიმატა 8 ლარით და 10 თეთრით გაძვირებული პური მე პირადად არ მიკვირს. ვერავინ ვერ გაამტყუნებს თონის მეპატრონეებს, გაძვირებული ფქვილით იაფი პური გაყიდონ, ასეთი რამ არსად არ ხდება“.

ალექსანდრე კობაიძე: „პური გაძვირდა, მაგრამ მიზეზი გახდა რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც ერთმანეთს დაემთხვა. ეს იყო ბოლო რამდენიმე თვეში გაზის გაძვირება კომერციული აბონენტებისთვის, ანუ საწარმოებისთვის, ასევე იკრძალება ხორბლის იმპორტი მანქანებით, გემით შემოტანა კი მის ხარჯებს კიდევ გაზრდის. ფქვილის ფასიც მატულობს...“

მანანა ბეგიაშვილი: „ბოლო დროს გაძვირდა ფქვილი. ფქვილის გაძვირებამ ბუნებრივია გამოიწვია პურის გაძვირება... მე ვფიქრობ სათავეში უნდა გამოსწორდეს ეს პრობლემა.... ფქვილის ფასი თუ დაიკლებს, პურის ფასსაც დააკლდება.. ამიტომ პრობლემას ზემოდან დარეგულირება ჭირდება და არა მწარმოებლების დადანაშაულება.“

ელისო ზაქაიძე: „ზემო ქედშიც გაძვირდა პური... თონეშიც და მაღაზიებშიც 10 თეთრია მომატებული. მაგრამ ვერ გაამტყუვნებ. ფქვილი გაუძვირდათ და რა ქნან, რომ არ გააძვირონ პური?

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პირველი ხარისხის კილოგრამი ფქვილის ფასი 0,80 თეთრიდან 1 ლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, 50 კილოგრამიანი ფქვილის ტომრის შეძენა 40 ლარის ნაცვლად ჯერ 42 ლარი გახდა, ახლა უკვე 50 ლარი ღირს.

ექსპერტები ფქვილის დაიაფებას არ ვარაუდობენ, რადგან სახელმწიფო გეგმავს საქართველოში მარცვლეულის საგზაო ტრანსპორტით შემოტანა აკრძალოს, რის გამოც კიდევ უფრო დეფიციტური გახდება, რაც თავის მხრივ ფქვილზე ფასს კიდევ გაზრდის.

საქართველოს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას თქმით, ბოლო 3 წელია, საქართველო, უმეტესწილად, რუსეთიდან იმპორტირებულ ხორბალზეა დამოკიდებული. მსოფლიო ტენდენციებისა და ლარის კურსის გათვალისწინებით, ფქვილის ფასი გაზრდილია, რამაც, შესაძლოა, პურის ღირებულების ზრდაც გამოიწვიოს. სილაგავას თქმით, ფქვილის ფასის ზრდის მომავალი ტალღა ლარის კურსზე და რუსეთის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

„ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, საკუთარი ხორბალი დაახლოებით 10% გვაქვს მთლიანობაში. ჩვენი იმპორტი, ბოლო 3 წლის განმავლობაში, ძირითადად, ხორციელდება რუსეთიდან. მსოფლიო ტენდენცია აისახა რუსეთზეც, სადაც 30%-ით შემცირდა მოსავალი, ამან გამოიწვია ფასის ზრდა. გარდა ამისა, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 18 პუნქტით გაუფასურდა, რაც სერიოზული ფაქტორია, რადგან ხორბალს დოლარში ვყიდულობთ. ფქვილის კალკულაციაში 90% ხორბალს უჭირავს, შესაბამისად ეს გარკვეულწილად აისახა ფასზე. ამ ფაქტორებმა უკვე იმოქმედა, თუმცა ახალი ტალღა იქნება თუ არა, არ ვიცით, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რუსეთის მთავრობა რა გადაწყვეტილებას მიიღებს, იქნება ეს ექსპორტის კვოტირება თუ ექსპორტის გადასახადი. ასევე რა სასტარტო ფასი ექნება ყაზახეთს, რაც დაახლოებით ორ კვირაში დადგინდება“ – განაცხადა სილაგავამ.

ილია მარტყოფლიშვილი

ხანძარს ქალი ემსხვერპლა

21 სექტემბერს, გამთენიისას, ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე პოპიაშვილების საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს 72 წლის ქალის, **ლია პოპიაშვილის** სიცოცხლე ემსხვერპლა.

ცეცხლის ალი დილის 5 საათზე მეზობლად მცხოვრებმა ახლობლებმა შენიშნეს, რომლებმაც მოხუცის შენობიდან გამოყვანა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ადგილზე მისულ სამაშველო ჯგუფს ქალი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

რუსუდან პოპიაშვილი, რომელიც ალმოდებულ სახლში თავდაუზოგავად შევარდა, „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ქალის გადარჩენა ვერ შეძლო.

„ახალშობილი ბავშვი გვყავს, გვიან ღამით მისი კვების გამო გავიღვიძეთ და შევნიშნეთ, რომ ცეცხლის ალი და სუნი იყო. შუშების მსხვრევის ხმა გვესმოდა. ტელეფონი რძალს მივაწოდე, რომ სახანძროში დაერეკა. მე შევვარდი მაშინვე ეზოში, მაგრამ შენობაში კარიდან ვერ შევდიოდი, რომ გამოვაღე იმხელა ალი გამოდიოდა. უკანა კარი ვიცოდი და იქიდან მოვურბინე, რომ მეშველა. შევედი, მაგრამ ისეთი კვამლი იყო, ვერაფერს ვერ ვხედავდი. ეტყობა, კარი რომ შევაღე, ჰაერზე ცეცხლი უფრო გაძლიერდა. ფეხებზე უკვე ცეცხლი ეკიდა, ამიტომ მხრებზე მოვკიდე ხელი, მაგრამ ხელები მისხლტებოდა, კარებამდე წვალებით მაინც გამოვათრიე. მაგრამ, ალი მეც მეცა და ხალათი მოვიფარე, რომ თავი დამეცვა. ჭერიდან ცეცხლმოდებული ნამწვავი ცვიოდა, თმებიც და ხელებიც სულ გადატუსული და დამწვარი მაქვს. მერე ქუჩაში გამოვვარდი და ვყვიროდი, ხალხო, მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი. მერე მეხანძრეებმა მითხრეს, ტყუილად დარბიხარ, უკვე გარდაცვლილიაო. ვერაფერს ვეღარ გავხდი,“ – იხსენებს რუსუდან პოპიაშვილი.

ხანძრის გამომწვევ სავარაუდო მიზეზად მოძველებული ელექტროსადენები სახელდება, სამზარეულოში გაზის ბალონიც აფეთქდა. მომხდარზე გამოძიებას დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

როგორც შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენელმა ელზა ჯაფოშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროში მომხდარ ფაქტზე მოკვლევა 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ილია მარტყოფლიშვილი

როდის აინთება ქედების ზონის სოფლებში ცისფერი ალი

(მესამე გვერდიდან)

– ვიცნობ ამ ფაქტს, როგორც კი შევიტყე, ცხადია დეტალებით დავინტერესდი. მაგრამ, ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ იმ წყალში, რომელსაც სახლებში ონკანებზე ვიღებთ, არანაირი დაბინძურება არ არსებობს და საფრთხის შემცველი არ არის. ჩხირები გამოვლინდა გარე წყლებზე, გზებზე მდებარე ცალკეულ წყაროებზე, რომელსაც წყალმომარაგების კომპანია ვერ აკონტროლებს. ცენტრალურ აუზში წყალი სათანადოდ მუშავდება და შესაბამისად ყოველდღიურად კონტროლდება. სადაც ჩხირები იყო, იმ წყაროებზე გამოიკრა მონოდება, რომ მისი სასმელად მიღება აკრძალულია. დანარჩენ შემთხვევებში წყლის ხარისხის ეჭვქვეშ დაყენება უსაფუძვლოა.

– თუმცა, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, თქვენც და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრიც ღიად მიანიშნებდით, რომ ამჟამად წყალმომარაგების კომპანია ნაკლებად ეფექტურია. ამის გამო იქ ძირეული რეორგანიზაცია დაიწყო. მათ მიერ დედოფლისწყაროში რამდენად კეთილსინდისიერად ხდება სანიტარული ნორმების დაცვა? რაიონული ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ მთავარი რეზერვუარის რეცხვა ისე განხორციელდა, მათი სპეციალისტი არ დასწრებია, რაც აუცილებელი იყო...

– დედოფლისწყაროს ფილიალს აქვს შესაბამისი ლაბორატორია და აპარატურა, სადაც წყლის ხარისხი ყოველდღიურად კონტროლდება. ამიტომ, თუკი ისინი რაიმეს დააფიქსირებენ, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამენ. მთავარია, რომ წყალი, რომელიც ოჯახებში მოგვეწოდება, უსაფრთხოა... სხდომაზე ზოგადად, მთლიანად კომპანიისა და მუნიციპალიტეტების კოორდინირებული და ეფექტური მუშაობის აუცილებლობაზე ვსაუბრობდი.

– ბატონო ირაკლი, არაერთხელ შეიცვალა სოციალური დახმარებების გაცემისა, თუ ხელმოკლე ოჯახების სარეიტინგო ქულების განსაზღვრის წესები და კრიტერიუმები, მაგრამ პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა. საარსებო შემწეობის ობიექტურად გაცემა ამ ხელისუფლების პირობებშიც აქილევსის ქუსლად რჩება. ცნობილია, რომ თქვენც საკმაოდ თამამი პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე და დახმარების გაცემის წესს გაუგებარს უწოდებთ. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი საუბრობს იმაზე, რომ აუცილებელია სარეიტინგო ქულების დათვლის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩაერთოს. შესაძლოა, მუნიციპალიტეტები მართლაც ჩართონ დახმარებების განაწილების პროცესში?...

- გეთანხმებით, მეც მივიჩნევ, რომ აუცილებელია სოციალური დახმარების გაცემის და სარეიტინგო ქულების დათვლის თუ ოჯახის პირობების შემოწმების პროცესში ჩართული იყოს სოფლის რწმუნებული. დამერწმუნეთ, მათ გაცილებით უკეთესად იციან მათივე სოფელში ვის ეკუთვნის დახმარება და ვის ნაკლებად ეკუთვნის. გაუმართლებელია აგენტი ავსებდეს მონაცემებს, გზავნიდეს თბილისში, რაღაც მონაცემები შეჰყავდეთ კომოპიუტერულ პროგრამაში და კომპიუტერის მიერ გამოთვლილი სარეიტინგო ქულებით გადავწყვიტოთ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების ბედი. ამიტომაც არის, რომ გამუდმებით, ამომრჩეველთან შეხვედრების დროს სულ მესმის ეს პრეტენზიები, „იმას აქვს, მე მომიხსნეს“, „რატომ მომეხსნა დახმარება“... ამ ფონზე ჩემთვისაც ხშირად გაუგებარი რჩება რატომ იხსნება ან ინიშნება შემწეობა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევებში. ამიტომაც, მკაფიოდ მიმაჩნია, რომ თუკი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსაც ჩავრთავთ ამ პროცესში, ბევრად გამჭვირვალე იქნება. აგენტი დაითვლის ქულებს და მიდის, პასუხისმგებლობას იხსნის, სოფლის რწმუნებული კი ისევ ამ სოფელში ცხოვრობს და მას თავად სოფელი არ აპატიებს, რომ უსამართლოდ შეაფასოს ან გაანაწილოს. დამერწმუნეთ, თუკი ის მიკერძოებით მიანიჭებს ქულებს, მის ეზოს აატალახებს მოსახლეობა და მომჩივანთა რიგი დაუდგება მერიაში. ამდენად, რწმუნებულიც დაინტერესებული იქნება, რომ ობიექტური იყოს.

ილია მარტყოფლიშვილი

წარმატებული აბიტურიენტები დაჯილდოვეს

კახეთის გუბერნატორის ინიციატივით, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც 2018 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგი აჩვენეს და 100%-იანი სასწავლო გრანტი მიიღეს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა და დაჯილდოების ღონისძიება ქალაქ თელავში, ერეკლე მეორის სახლმუზეუმის ეზოში, ახლადგახსნილ თელავის ისტორიულ მუზეუმში გაიმართა. მას კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის მერი ესწრებოდა. მათ პირველი კურსის სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და განათლების მიმართულებით განხორციელებულ სიახლეებსა და სამომავლო გეგმებზე მიანწოდეს ინფორმაცია.

წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი განათლების მისაღებად 100%-იანი გრანტი ოთხმა დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტმა მოიპოვა: სერგი კაპანაძემ ***(არხილოსკალოს საჯარო სკოლა)***, რევაზ ჯანყარაშვილმა ***(დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა)***, მარიამ ბატიაშვილმა ***(არბოშიკის საჯარო სკოლა)*** და ცირა ნატროშვილმა ***(ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა)***.

კახეთის გუბერნატორის, ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, განათლების რეფორმა და მთავრობის ახალი კონცეფცია მორგებულია ყველა მოქალაქეზე, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

,,ახალი სასწავლო წელი დაიწყო და ამ პროცესს დაემთხვა ისიც, რომ საქართველოს მთავრობამ საგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი გეგმა და კონცეფცია წარადგინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იყო სწორედ ამ კონტექსტში შეეხვედრილიყავით წარმატებულ მოსწავლეებს, რომლებმაც 100%-იანი დაფინანსება მოიპოვეს. ეს ადამიანები უკვე წარმატებულები, ლიდერები არიან და მათ შეუძლიათ, ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კახეთის რეგიონის და მუნიციპალიტეტის განვითარებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ განათლების რეფორმა ეხება ჩვენს ყველა თანამოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ უმაღლესი ქულები მიიღეს კახეთიდან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა ახალგაზრდებმა. ეს ჩვენ გვაიმედებს, რომ საზოგადოება უფრო ინტეგრირებული ხდება, ფეხს უწყობს თანამედროვე გამოწვევებს და იმას, რომ საქართველო დგას ევროკავშირის, დემოკრატიის და თავისუფლების გზაზე",– განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

„მნიშვნელოვანია, როცა კახეთის მთელი რეგიონი ერთად ვართ და ერთმანეთის წარმატებებს ვიზიარებთ. ბედნიერებაა, როცა ხედავ, რომ ჩვენს მშობლიურ მხარეში ამდენი განათლებული და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდაა. საქართველოში იყო პერიოდები, როცა ადამიანები ფიქრობდნენ, რომ განათლებას ფასი არ ჰქონდა, რადგან ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად გაცილებით მნიშვნელოვანი ფული და გავლენიანი ნაცნობობა იყო. ღვთის მადლით, დღეს ეს მიდგომა შეიცვალა და ახლა წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა განათლება და გონიერებაა. ყველაზე ძვირფასი რესურსი, რაც ადამიანს გააჩნია, ეს დროა, რომელიც უკან აღარასდროს დაბრუნდება. ამიტომაც, ნუ დაკარგავთ ამ დროს და მაქსიმალურად გამოიყენეთ ის ცოდნის შესაძენად, რომელსაც შემდეგ თქვენს ოჯახებს, მუნიციპალიტეტებსა და ქვეყანას მოახმართ. მე

ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდან ყურადღების გამოჩენა და ასთი შეხვედრის მოწყობა გარკვეულწილად სტიმულის მიმცემი იქნება არა მხოლოდ ამ 4 სტუდენტისთვის, არამედ იმ მრავალი ახალგაზრდისთვის, რომლებიც ახლა ისევ სკოლაში სწავლობენ და მომავალში უნდა გახდნენ სტუდენტები. გილოცავთ თქვენს პირველ დიდ გამარჯვებას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს"– აღნიშნა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

თელავში გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების 100%-იანი გრანტის მფლობელი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ქეთევან ჩაფიაშვილიც. ქეთევანი პრეზიდენტის სტიპენდიის მფლობელია და სხვადასხვა წლებში აშშ-სა და ფინეთში სწავლობდა.

„შემომთავაზეს დავსწრებოდი ამ ღონისძიებას, როგორც წარმატებული ახალგაზრდა. სიხარულით დავთანხმდი. რადგან საშუალება მომეცა, სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, სიტყვით მიმემართა. დავბრუნდი ძალიან დადებითი ემოციებით დამუხტული, ამდენ წარმატებულ ახალგაზრდიას რომ შევხვდი. გამახსენდა ის დრო, როდესაც მეც განვიცადე იგივე. კიდევ ერთხელ გავითავისეთ ყველამ, რომ შრომა და მოტივაცია აუცილებლად ფასდება. სტუდენტობა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ეუფლები იმ პროფესიას, რომელსაც უნდა მიუძღვნა მთელი ცხოვრება, გამუდმებით ძიების პროცესში ხარ, ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებ საკუთარ თავში და დიდ გამოცდილებას იძენ. თითოეულ მათგანს ვუსურვებდი დიდ წარმატებას ინდივიდუალური გაგებით, რასთანაც ასოცირდება მათთვის რეალურად წარმატება. ვურჩევ, რომ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და რესურსი, რაც მათ ხელთაა და არასდროს შეეპაროთ ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში. ვუსურვებდი, რომ მალე აღმოეჩინოთ საკუთარი მისია ცხოვრებაში და თავდაუზოგავად იშრომონ მის პირნათლად შესასრულებლად. რაც შეეხება ასპროცენტიან სტუდენტებს, სიმართლე გითხრათ, ძალიან მეცოტავება 4 ასპროცენტიანი მოსწავლე დედოფლისწყაროდან. უფრო უკეთესი შედეგი უნდა გვქონდეს.

პირველი საჯარო სკოლის დამთავრებისთანავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე ჩავირიცხე. ამჟამად მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ბავშვობიდან აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა აქტივობებში. საკუთარი ძალები გაცვლით პროგრამებშიც მოვსინჯე. 11-ე კლასი ფლექსის, ანუ მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის დახმარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გავატარე. იმდენად მომეწონა და ისე ძალიან მოვიხიბლე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით, რომ გადავწყვიტე, მომავალშიც გამეგრძელებინა იგივე პროგრამებში მონაწილეობა და შემდეგ უკვე უნივერსიტეტის ბაზაზეც ჩავერთე მსგავს პროგრამებში. კარგი განათლების მიღება ყოველთვის იყო ჩემთვის პრიორიტეტული მიმართულება ცხოვრების ყველა ეტაპზე. დღესდღეობითაც ასე ვფიქრობ, რომ ჩვენი, როგორც ახალგაზრდებისა და მომავალი თაობის, მთავარი მისია არის სწორედ ის, რომ მივიღოთ ძალიან ხარისხიანი განათლება და შემდგომში ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენოთ. ვისურვებდი, რომ ქართული განათლების სისტემაც განვითარდეს იმ დონეზე, რომ, ასე ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტები დააკმაყოფილოს და იმ გამოწვევებს უპასუხოს, რის წინაშეც საერთაშორისო მასშტაბით თანამედროვე ახალგაზრდობა დგას. მინდა, საქართველოში განათლებამიღებულ თაობასაც ჰქონდეს ის უნარები და ცოდნა, იგივე კვალიფიკაცია, რაც ნებისმიერ მაღალი დონის საერთაშორისო უნივერსიტეტში აქვთ ახალგაზრდებს. ის მოტივაცია, რაც მთელი ამ წლების განმავლობაში თან მდევდა, თუნდაც იმ მცირედი წარმატებებიდან გამომდინარე, რომელიც ცხოვრებაში მქონდა, ყოველთვის იყო ის, რომ რაღაც სასიკეთო გამეკეთებინა ჩემი ქვეყნისთვის და იმ საზოგადოებისთვის, რომლის ნაწილიც ვარ. როდესაც ვადარებ სხვადასხვა ქვეყანაში, ევროპასა და, თუნდაც, შეერთებულ შტატებში რა პირობები აქვთ, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი იდეა მებადება, რა გვაქვს გამოსასწორებელი და რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ. თუნდაც ჩემს ღირებულებებზე უფრო კარგი, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა მექმნება და უცხოური გამოცდილების მიღების შემდეგ ჩვენი რაღაცეები კიდევ უფრო მეტად დავაფასე. გარკვეული დეტალები კიდევ გვაქვს სასწავლი. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ განვითარებულ ქვეყნებსაც აქვთ ჩვენგან სასწავლი. მინდა, რომ თითოეულმა ახალგაზრდამ მიზნად დაისახოს, ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე წარმოვაჩინოთ მაღალ დონეზე, ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა იმსახურებს. ჩემთვის ყველაზე ამაღელვებელი ამპლუა ეს იყო ხოლმე, რომ კარგად წარმომეჩინა საქართველო და ქართული ტრადიციები. სულ მიმაჩნდა, რომ მე ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი და არა როგორც პერსონა. ყოველთვის ვგრძნობდი უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც ახალგაზრდა ელჩობას ახლდა თან, ნებისმიერი პროგრამის მონაწილეობის დროს. ვთვლი, რომ ნებისმიერი ახალგაზრდისთვის ეს მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც გადაწყვეტს ამა თუ იმ საერთაშორისო პროგრამებში შენი მონაწილეობის ბედს," – განუცხადა გაზეთ „შირაქს" ქეთი ჩაფიაშვილმა.

შეგახსენებთ, 2018 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი გრანტი კახეთის რეგიონიდან სულ 62-მა ახალგაზრდამ მოიპოვა.

ილია მარტყოფლიშვილი

შევიყვაროთ და შევაყვაროთ ბავშვებს კითხვა

როგორ შევაყვაროთ ბავშვს კითხვა?! ურთულესი დილემაა, ყოფნა-არყოფნის ოდენა. სად არ ნახავთ ამ სათაურით პოპულარულ თუ პოპულისტურ სტატიებს, ვიდეოებს, მსჯელობას. ბუნებრივია, მზა ფორმულა არ არსებობს და ის, რაც ვიღაცაზე ზედმიწევნით დადებითად ზემოქმედებს, შესაძლოა, ზოგიერთ ბავშვში სულაც წინააღმდეგობის სურვილს აჩენდეს. მე, მაგალითად, ჩემი პატარა ძმები ხშირად მეკითხებიან, რატომ დამაქვს სულ რაღაც წიგნი და ნუთუ არ მბეზრდება, ან ჩემი ხელფასის რა ნაწილს ვხარჯავ წიგნების ყიდვაში, რა მრჯის და რას მარგებს ამდენი ახალ-ახალი წიგნი, მაშინ, როცა უამრავი ვიდეოთამაშია და ბევრად უკეთ გართობის საშუალება. თანაც, ცალკე აღებული, წიგნების კითხვით ხომ ფულს ვერ ვიშოვი?! დროდადრო ძალიან საფუძვლიანად დაეჭვებულები უყურებენ ჩემს დამოკიდებულებას. გული მწყდებოდა, მანამ, სანამ ერთხელ ერთ-ერთმა არ მკითხა ერთ მცენარეზე, ამას რა ჰქვიაო. მე ბედად სახელიც ვიცოდი, ისტორიაც, მითიც, ისიც, რა პირობებში ხარობს. როცა დავინახე, როგორი აღფრთოვანებული მისმენდა და არა იმდენად თავად მცენარის ამბით, უფრო იმით, რამდენი ვიცოდი, მკითხა, ასეულობით წიგნი გაქვს წაკითხულიო?! გამეცინა და გამიხარდა. ასეულობა კი არა, ათეულობაც გადაჭარბებულია, მაგრამ, მივხვდი, რომ მაკვირდება , გულის სიღრმეში მოსწონს და უკვირს. მივხვდი, რომ გაუთავებელ დარიგებებს, როგორი მნიშვნელოვნია კითხვა, გაცილებით სჯობია, მისი შედეგი აჩვენო, ან თუნდაც პროცესი, რომელიც მისი რუტინული ხედვის არეალში ისე უნდა დამკვიდრდეს, რომ ერთხელაც, როცა სამყაროზე არაერთი სერიოზული კითხვა გაუჩნდება და პასუხები არ დაკამაყოფილებს (და ეს დრო აუცილებლად დადგება), ამოუტივტივდება ერთი არცთუ იშვიათად ნანახი და თავისთავად დამახსოვრებული გზა პასუხების საძებნელად. ეს დრო როდის მოვა არავინ იცის.. ადრე ან გვიან, ან სულაც უფრო ადრე ან უფრო გვიან, ვიდრე ჩვენ ცდით დავიღლებით, ვიდრე ხელს ჩავიქნევთ...

და მერე გაიხსნება სამყარო, რომელიც ავტონომიური, განცალკევებული და, ამავდროულად, ყოფიერებასთან საგანგებოდ თანაზიარია. დასაწყისი მშფოთვარე და ამაღელვებელია. გაფაციცებული ცდილობ "აუცილებელი საკითხავების" მომთავრებას. რთულია, არ მთავრდება. რაღაც ეტაპამდე რომ მიდიხარ, თავმომწონეობა მოდის იმის გამო, რა იცი ისეთი, რაც სხვამ არა და თან იცი ზუსტად - წაკითხული გაქვს. ცოდნის ამაზე უკეთესი საბუთი სმარტ ეპოქაშიც კი არ არსებობს. "ეს წაკითხული მაქვს", ან თუნდაც "სადღაც წავიკითხე" ისეთ დამაჯერებლობას მატებს ნათქვამს, უმალ მოდის ნდობა. ეს კი ნელ-ნელა აღფრთოვანებას იწვევს და უფრო მეტის კითხვას ინდომებ, უკვე იმისთვის, რომ უფრო დამაჯერებელი, უფრო სიმპათიური იყო იმ ადამიანებს შორის, ვინც თავად გესიმპათიურებათ. უხვი სიტყვათამარაგი, ცოდნა ან ამის გამო საკუთარი თავის ფლობა, თვითდამკვიდრების საშუალებაა, იმაზე ბევრად მშვიდობიანი და კულტურული, ვიდრე ეს ფიზიკური ძალის ან რაიმე ძალის დემონსტრირებაა. თუმცა ამ დროს ისევ გრცხვენია, რომ რაღაცები არ გაქვს წაკითხული და ამას არ აღიარებ, მაგრამ ეს დღესავით ნათელია. ისევ კითხულობ, კითხულობ და სადღაც, რაღაც მომენტში



აცნობიერებ, რომ ახალი შრე იხსნება - ცნობისწადილი, ამბის ცნობისმოყვარეობა. ცოტა ხანში ჩნდება კითხვები თავად ავტორების მიმართ, ეჭვები მათი ვარაუდების, მტკიცებების, განცდების მიმართ. პარალელები საკუთარ ამბებთან, სხვების ამბებთან, სხვადასხვა ავტორების ჭიდილი. ილუზიები, მისტერიები, დელუზიები, კავშირები, მეტობები, დანაკლისები, "მაკულატურები" და ამას ყველაფერს მოჰყვება მეტი ფიქრი და ნაკლები საუბარი. მოსმენის, სხვისი დანახულის აღქმით ტკბობა ბევრად უკეთესია, ვიდრე საკუთარის წარმოჩენა და ადამიანების სულ სხვა განზომილებაში დანახვა. იმის გააზრება, რომ ყველას საკუთარი ისტორია აქვს, ოცნებები, თუნდაც უბრალო, ერთი შეხედვით და თითოეული ჩვენგანი აუარება ინდივიდუალური განცდით და სისუსტით ძალიან ინდივიდუალურ ნაბიჯებს ვდგამთ და ხშირად, უკიდურესად სულელურია მათი საზოგადო საზომებით შეფასება. მოდის აღქმა იმისა, რომ ალესანდროს ძმებით და თავად ალესანდროებით სავსეა ცხოვრება და შეიძლება, უძღები შვილი სულაც თავად ვარ ან კამორაში ვცხოვრობ, ან სულაც ლამაზ ქალაქში და იმის მიღმა, რომ მეუბნებიან, ყველაფერი გენიალურადაა, სავსებით შესაძლებელია, რომ პირიქით იყოს. ასევე სავსებით შესაძლებელია, რომ ყველაზე უინტერესო და არასასურველი კაცი ერთხელაც იყოს ყველაზე ბრძენი, საყვარელი და თავდადებული, ან შეიძლება ხელშეუხებელს ხელშესახები შეუყვარდეს, ან ერთ დღეს, შენ უბრალო და მარტივი უგულისყურობით, არ ჩაერიო მოზარდების გარჩევაში, ამას სრულიად გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს, რამაც არარაობად გაქციოს და კათარზისი არადროს გამოგივიდეს. შეიძლება, მხოლოდ იმიტომ ჩაგთვალონ დამნაშავედ, რომ ისე არ ან ვერ გლოვობ, როგორც ამას ყველა აკეთებს. და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხარ იმ ეტაპამდე, რომ სულ ერთია, ვისზე რა შთაბეჭდილებას დატოვებ. სულერთია, ყველა აუცილებელი საკითხავი გაქვს თუ არა წაკითხული, არა უშავს, თუ ფოლკნერმა ჭკუიდან გადაგიყვანა, უფრო მისი სიმძიმის, ვიდრე სიამოვნების გამო, სულერთია, რომ ძალიან ბევრი გაქვს წასაკითხი და ძალიან ცოტა - პირიქით, იმიტომ, რომ ამ სამყაროს ვერასდროს ამოწურავ და სულაც იმიტომ, რომ მთავარი არ არის რაოდენობა, იმიტომ რომ ყველაზე ნაკითხი კაცი ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი იყო. აქ მთავარი არც ხარისხია, როგორც ალბათ ელოდით წინადადების გაგრძელებად. აქ მთავარი წარმოსახვაა და განცდა, იმ უნარის გაუმჯობესება - სხვის ადგილზე საკუთარი თავის წარმოდგენას რომ ვეძახით, უფრო მეტი თვითდამკვიდრება...

ახლა უკვე, როცა ბევრი ახალი და ძველი, მათ შორის, ზოგი შუა გზაზე მიტოვებული წიგნი დამიგროვდა, ვხვდები, ერთი ჩემი ახლობლის გეგმის საინტერესოობას - წიგნებს ვყიდულობ, რომ როცა დავბერდები, ერთიანად შევუტიო და ხელახლა დავიბადოო. მაშინ ცოტათი სიცილისმომგვრელად ჟღერდა და ახლა, როცა სიბერეზე ვფიქრობ, სულაც არ ვიწყენ, ჩემი და სხვების ბავშვების ზრდასრულობასთან ერთად, იმ მომენტსაც ველოდები, როცა ჩემს "არამატერიალურ" კაპიტალს გავხარჯავ და გული დამწყდება, რატომ არ მაქვს კიდევ ბევრი წელი წინ, რომ მეტი და მეტი წამეკითხა... ახლა, როცა ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ბევრი მაქვს წასაკითხი, აღარ მრცხვენია, გული მწყდება და მიხარია...

სალომე ნატროშვილი

საქართველო მსოფლიოს უძველესი ქვეყნების სამეულში მოხვდა

პოპულარული ამერიკული საიტი "თოპ ტენს", რომელიც სხვადასხვა თემატურ რეიტინგებს ადგენს, ამჯერად საუკეთესო უძველესი ქვეყნების ათეულს ავლენს და მათ შორის საქართველოსაც ასახელებს.

საქართველომ, თავისი უძველესი ისტორიით, ტრადიციებითა და დამწერლობით, ათეულში მესამე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი საბერძნეთს ერგო, მეორე კი ეგვიპტეს. ათეულში ასევე იხსენიება ჩინეთი, ინდოეთი, იტალია და სხვა.

საიტის სტრუქტურიდან გამომდინარე, მის მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ ყოველი თემისა და ქვეყნის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვან.

საქართველო კი კომენტარებში უამრავ დადებით გამოხმაურებასა და დახასიათებას იმსახურებს.

ინტერნეტმომხმარებლები მას ღვინისა და ყველის, მამაცი ხალხის სამშობლოდ იხსენიებენ, რომელსაც მდიდარი კულტურა და განსაკუთრებული ისტორია გააჩნია.

21 სექტემბერი – შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა მარიამისა

შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა მარიამისა. ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა", რომელიც დანვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვისთვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველს შეეწირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).

დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც აღარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ, სახელდახელოდ აგებულ კარავში, მან ორმოცი დღე და ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყვედრა მისმა მხევალმაც: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო".

მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, საზეიმოდ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი ისე, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისააკი".

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეეწირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

იოაკიმემ მწყემსები მოიხმო და შესაწირავი მსხვერპლის გამზადება უბრძანა. ანა მას სახლში ელოდებოდა. დაინახა თუ არა მწყემსებთან ერთად მომავალი მეუღლე, წინ მიეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ მიწაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და აღთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძარში არ მიიყვანდა, მიწაზე ფეხს აღარ დაადგმევინებდა.

როცა მარიამი ერთი წლისა გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა, შინ მოიწვია მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები, პატივსაცემი მოხუცებულნი. „ისმინე, ისმინე ისრაელის თორმეტო ტომო, ძუძუს აწოვებს ანა", - სიხარულით გალობდა წმიდა ანა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმისაებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბიწო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა".

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ქიმიური ელემენტი, რომელსაც ახასიათებს ნათება 2. მწერალი ალბერტო ... 3. კუნძული, სადაც წარმოიშვა მაფია 4. ციური სხეული, საიდანაც ჩამოიტანეს რეგოლიტი 5. ჰელიუმი ჯერ ამ ვარსკვლავზე აღმოაჩინეს, შემდეგ კი დედამიწაზე 7. სელაპის სახეობა, რომელიც კასპიის ზღვაში ბინადრობს 12. მდინარე ციმბირში, რომელიც ლაპტევების ზღვაში ჩაედინება13.. საზეიმო ტექსტი, რომელიც ექიმებს ჰიპოკრატესთან აკავშირებს 16. ქიმიური ელემენტი, რომელსაც სისხლში ჟანგბადი გადააქვს 20. ყველაზე მსხვილი სისხლძარღვი 22. კენიის დედაქალაქი 24. ქართველების დასახლება ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე ...–გრუზინსკაია 25. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი 26. მთა, საიდანაც მტრედმა ნოეს კიდობანზე ზეთისხილის რტო მოიტანა 27. ამხანაგი ჩე ანუ ერნესტო რაფაელ ... დე ლა სერნა 30. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში 31. ლითონი, რომლითაც, ელექტროლიზის მეშვეობით, რკინის საგნებს ფარავენ 36. მსახიობი ... მაკგრეგორი 40. ხურდა ფული საფრანგეთში

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. „ხმალზე უფრო ძლიერად" მჭრელი 8. პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ფოთოლში და რომლის დროსაც წარმოიქმნება ჟანგბადი 9. არაბი სარდალი მურვან ..., რომელიც 735 წელს შემოესია საქართველოს 10. სავანის ბინადარი ცხოველი, რომელსაც „სავანის სანიტარს" უწოდებენ 11. მსახიობი ... პაჩინო 14. მსახიობი სოფი შიკოლონე, რომლის პირველი ფსევდონიმი იყო ლაზერი. რა ფსევდონიმით ვიცნობთ მას 15. რაც ... გერგება, ... შეგერგება 17. ყვავი – ბახალა, მტრედი - ხუნდი, ... – მართვე 18. მსახიობი ... ჰათაუეი 19. ფანჯიკიძე. „მეშვიდე ..." 21. სპარტელების დევიზი: "ფარით, ... ფარზე" 23. კათიონის საპირისპირო მუხტის მქონე ნაწილაკი 28. ქურუმი, რომელსაც ტუტანხამონის მკვლელობას აბრალებენ 29. რომელი ქალაქის სახელით არის ცნობილი კრამიტი, რომელიც ბათუმში ჩამოჰქონდათ ცარიელ გემებს ბალასტის სახით 30. დედამიწის შიდა გარსი 32. ფანტასტი მწერალი ... ბრედბერი 33. ყვავილი, რომლის ფოთლის წვენი ქავილის გრძნობას აამებს 34. „კუკარაჩას" პერსონაჟი 35. ენდრიუ ლოიუდ ვებერის ... - ოპერა „იესო ქრისტე" სუპერვარსკვლავი 37. კედლის შანდალი 38. განმუხტვა დამუხტულ ღრუბლებს შორის 39. რუკების კრებული 41. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე

ლევან დავითაშვილი

ორი წელი გავიდა იმ უბედური და ავადსახსენებელი 27 სექტემბრიდან, რომელმაც თავდაყირა დაყენა ჩვენთვის მთელი სამყარო, დღე, როცა მეხის გავარდნასავით გაისმა შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლის ამბავი 34 წლის ასაკში, ჩემო ლევან. სამუდამოდ გაქრა ჩვენი ოჯახის სიხარული და ბედნიერება. უშენობამ სევდად გვაქცია და ყველაფერი გაუფერულდა: ვერ შევეგუეთ იმ ტკივილსა და მწუხარებას, რასაც შენი სახელი ჰქვია.

ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. ულმობელია წუთისოფელი სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედმა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება და დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. 27 სექტემბერი დარჩა მწარე მოგონებად ჩვენს გულებში. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები, გვენატრება შენი ღიმილი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე თვალები. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ არის ტკივილი, რომელსაც დრო ვერ კურნავს და ეს დიდი ტკივილი შენ ხარ. შენ სიკეთისთვის და სიყვარულისთვის იყავი დაბადებული, რასაც უანგაროდ აკეთბდი. შენი უეცარი წასვლა ბედისწერა იყო. უდანაშაულო, სიკეთის მთესველ ვაჟკაცს უფალმა მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა, ხოლო შენს დედას და მამას ტკივილი, რომელიც შენს მოსვლამდე არ მორჩება. დალოცე შენი ძმები, შენი საყვარელი ლევანიკო, ყველა ის ახლობელი ვინც, მწარედ დაგიტირა და გაგაცილა უკანასკნელ გზაზე. მინდა თუ არ მინდა, ცხოვრების ბოლომდე ამ ტკივილით უნდა ვიარო. შვილმკვდარი დედის ჯვარი მძიმეა, არ მინდა დავამძიმო შენი სული, ამიტომ ვილოცებ, უბრალოდ ვილოცებ და დაგინთებ სანთლებს, რაც ვიცი რომ დიდი მადლია. 27 სექტემბერს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, შენს გაყინულ ქვას მოვეფერებით და მოვრწყავთ ცრემლით, აგინთებთ სანთლებს, მოგიტანთ ყვავილებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის, ჩემო მონატრებულო შვილო, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩემო ვაჟკაცო.

„დაგმკვიდრებოდეს სასუფეველი,
არ მოგკლებოდეს სხივი ნათელი,
ალალი იყოს ცრემლი დაღვრილი
და ანთებული სანთელ-საკმელი"

შენი ოჯახი

ანსამბლი „შავნაბადა“ დედოფლისწყაროში

საქართველოს 30 მუნიციპალიტეტში ექვსი თბილისური ანსამბლი კონცერტებს ატარებს. „Check in Georgia“ წარმოგიდგენთ ფესტივალს „ბაღია ჩვენი ქვეყანა“, რომლის ფარგლებშიც თბილისური ფოლკლორული ანსამბლები კონცერტებს მართავენ რეგიონებში, მათ შორის კახეთში. 21 სექტემბერს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას” კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას ხორნაბუჯისა და ჰერეთის მღვდელმთავარი და ეპარქიის სასულიერო პირები, ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ესწრებოდა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში აცხადებენ, რომ ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს როგორც ფოლკლორულ სასიმღერო ნუმუშებს ასევე, საეკლესიო გალობასა და ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკას. ფესტივალზე თბილისურ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ადგილობრივი სალოტბარო სკოლის მოსწავლეები. თბილისელ სტუმრებთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგნენ დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის გუნდი და ადგილობრივი ანსამბლი „ხორნაბუჯი“.

„შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე ჩვენთან საუბრისას კმაყოფილებას გამოხატავს როგორც კონცერტში მონაწილე ადგილობრივი შემსრულებლების, ისე მსმენელის მიმართ.

„ანსამბლი „შავნაბადა“ აგრძელებს რეგიონულ ტურნეს, რამდენიმე დღეში სტამბულში მივემგზავრებით და ბედნიერებაა, რომ ამჯერად კონცერტის ჩატარება დედოფლისწყაროში მოგვიწია. ჩვენთან ერთად იყვნენ ადგილობრივები, ანსამბლი „ხორნაბუჯი“ და ჩვენი განუყოფელი ნაწილი, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა. მცირედი საჩუქარი ჩამოვუტანეთ და ვუთხარით, რომ ერთერთი სასწავლებლის კათედრა მზად არის შეღავათებით ჩარიცხოს ისინი. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის დედოფლისწყაროში. იგივე ითქმის მსმენელზეც, ძალიან გემოვნებიანი მსმენელი გვესწრებოდა. რაც შეეხება ამ ფესტივალის არსს, ჩავდივართ რაიონებში და ვცდილობთ, ვაჩვენოთ ის უნიკალური ნიმუშები, რაც მათ რაიონსა და მხარეს გააჩნია. გვინდა რამდენიმე სიტყვით ვაუწყოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ კულტურის შენარჩუნება და რამდენად ჭირდება ამ ღირებულებას მოფრთხილება,“ – ამბობს დავით ცინცაძე.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი კაპანაძე გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა ხალხური სიმღერისა და საგალობლების პოპულარიზაცია ხდება და ეს ყველაფერი ძალიან მაღალი ხარისხით სრულდება.

„ძირითადად ისეთი საგალობლების აღდგენა-შესრულება ხდება, რომლებიც პოპულარული იყო საუკუნეების წინ. თავად ის ფაქტი, რომ ამ საგანძურის შენარჩუნება და პოპულარიზაცია ხდება, ეს ჩააქვთ რეგიონებში და მოწყურებულ ადამიანებს უზიარებენ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მივესალმებით ასეთ საღამოებს, რადგან ასეთი მაღალი დონის სამუსიკო შესრულება ხელს უწყობს როგორც საგალობლების, ისე ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას. დღეს განსაკუთრებით საჭიროა, რომ ჩვენს ახალგაზრდებში ხალხური მუსიკის და საგალობლების პოპულარიზაცია მოხდეს,“ – აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

ხელოვნების სკოლაში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის .უფროსმა თამარ თამაზაშვილმა მიმართეს. მათ კონცერტში მონაწილე შემოქმედებით ჯგუფებს ღირსეული გამოსვლა მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ქართულ ტრადიციებზე და გალობისა და ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე. ამის დასტური იყო დედოფლისწყაროს ხელისუფლების მხარდაჭერა, როცა რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროში ჰამლეტ გონაშვილის სკოლა გაიხსნა.

„დავით ცინცაძის და ქალბატონი თამარ თამაზაშვილის დიდი მონადინებით, რამდენიმე წელია, დედოფლისწყაროში ეს სკოლა მოქმედებს და წარმატებებიც არ აყოვნებს. გამოგიტყდებით, კულუარებში ხშირად მესმოდა საუბრები, ამხელა თანხა დავხარჯეთ და ამ სკოლაში მხოლოდ ერთი ბავშვი ჩაირიცხაო. დამერწმუნეთ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმის ხელშეწყობა და ეს რამდენიმე მოსწავლე სამომავლოდ დიდ შედეგს მოიტანს. ჩვენ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ ამ საქმის წარმატებით განხორციელებას და პროფესიონალი კადრების აღზრდას. ეს სკოლა რომ არ გაგვეხსნა, დიდი ალბათობით ის სამი მოსწავლე, რომელიც ყველაზე წარმატებულია და თბილისში შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, შესაძლოა კარგი იურისტები, ან სულაც ბანკირები გამოსულიყვნენ. მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა, ჩვენს ქვეყანას და რაიონს ბევრი კარგი იურისტი და ბევრი კარგი ბანკირი ჰყავს, თუმცა, სამწუხაროდ, ახალ თაობაში არ გვყავს ისეთი კადრები, რომლებიც იმ ძველ თაობას ჩაანაცვლებენ. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ კუთხით შევხედოთ საკითხს,“ – ამბობს დედოფლისწყაროს მერი.

ფესტივალი ხორციელდება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით.

ილია მარტყოფლიშვილი.

ულოცავენ!

იოვანე და მილენა ოგანესიანებს, ბარბარე ხვისტანს!

ჩვენს საყვარელ შვილიშვილებს **იოვანე ოგანესიანს** პირველ კლასში მისვლას, **ბარბარეს ხვისტანს** ბაღში მისვლას და **მილენა ოგანესიანს** წარმატებულად ბაღის დამთავრებას ვულოცავთ.

ვუსურვებთ წარმატებული ყოფილიყოს მათი ცხოვრების პირველი ნაბიჯები.

პაპა რანტიკა, **ბებია** მარინა ოგანესიანები

ლიკა და ნიკა ჩიტიშვილებს!

დიდი სიხარულითა და უსაზღვრო სიყვარულით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ახალი ეტაპის პირველ საფეხურებს.

ლიკას ი.ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ჩარიცხვას და ნიკას „ევრაზიის ვარსკვლავის“ ჩემპიონატში პირველი ადგილის დამსახურებულ მოპოვებას!

უზომოდ გახარებული ბებია ლია **და პაპა** გივი.

ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც).

მსურველები დაგვიკავშირდით:

☎ 599 85 58 32

ვაკანსია

ქ. დედოფლისწყაროში, სილამაზის ცენტრში, გვესაჭიროება სტილისტის, კოსმეტოლოგის, ვიზაჟის, ტატუაჟის, მასაჟის, პედიკურ-მანიკურის პროფესიონალი სპეციალისტები. სულ მალე ცენტრი გაიხსნება და ყველა ჩამოთვლილი მომსახურება განთავსებული იქნება ერთ სივრცეში. მსურველები დამიკავშირდით ნომერზე.

☎ 577 95 96 94

იყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.

მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.

☎ 555 23 26 80

ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

გიწვევთ სილამაზის სალონი!

თუ გსურთ შეიცვალოთ იმიჯი, გქონდეთ ლამაზად და მოდურად შეჭრილი თმა, იყოთ ლამაზი და მომხიბვლელი, კაცებმაც და ქალებმაც მიაკითხეთ **სილამაზის სალონს ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩის N67-ში** (საჯარო რეესტრის წინ). თქვენ აქ მოგემსახურებიან გამოცდილი სპეციალისტები ირინა ბალდასაროვი და ანა გონაშვილი. სალონში შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი სერვისებით: თმის შეჭრა და შეღებვა, დავარცხნა, წარბის კორექცია. ფასები ხელმისაწვდომია.

ი ყ ი დ ე ბ ა ბ ი ნ ა !

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116. **ფასი: 2 700 $.**

☎ 593 275–275

ვ ა კ ა ნ ს ი ა

გ ა ზ ე თ ი „შ ი რ ა ქ ი“ *იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.*

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com , *ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში.*

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18

ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 24.09		სამშაბათი 25.09		ოთხშაბათი 26.09		ხუთშაბათი 27.09		პარასკევი 28.09		შაბათი 29.09		კვირა 30.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
20 °	16 °	20 °	17 °	19 °	16 °	18 °	16 °	22 °	19 °	20 °	18 °	22 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.